ნასყიდობის ხელშეკრულება №რქმ/___

ქ. თბილისი __ _____ 2024 წელი

ერთის მხრივ, **შპს „ჯიარ ქონების მართვა“** (შემდგომში “**გამყიდველი**“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ივანე კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, _____ (პ/ნ ს/კ _____) (შემდგომში „**მყიდველი**“), ქვემოთ თითოეული მოიხსენიება როგორც „**მხარე**“, ერთობლივად მოიხსენებიან როგორც „**მხარეები**“, გამყიდველის მიერ 2023 წლის __ _____ გამოცხადებული №__/__ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია გამყიდველის მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით _____ (შემდგომში „**ობიექტი/ქონება/ნივთ(ებ)ი**“) რეალიზება.

1.2 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მყიდველი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და მისაღებია სარეალიზაციო ქონების თაობაზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონის) შესახებ ინფორმაცია („თვისებები/აღწერილობა“, „მიმაგრებული ფაილები“, „ინფორმაცია გადახდებზე“, „წესები და პირობები“, სხვა თანდართული დოკუმენტაცია და მასალები).

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი საკუთრებაში გადასცემს მყიდველს _____

2.2 მყიდველი საკუთრების უფლებას შეძენილ ქონებაზე იძენს ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაფორმების მომენტიდან.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ (_____) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შესაძლებელია დაკორექტირდეს ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული თანხა ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის (გადახდილი ”საგარანტიო თანხის” გათვალისწინებით) მყიდველის მიერ ჩარიცხულია გამყიდველის საბანკო ანგარიშზე.

4.2 მყიდველის მიერ გადახდილი „საგარანტიო თანხა“ ჩაითვლება მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორებისას.

4.3 მხარეები ვთანხმდებით, რომ თუ ობიექტური მიზეზით ვერ განხოციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე კონკრეტული ნივთის გამყიდველის მიერ მყიდველზე გადაცემა, გადაუცემელი ქონების ღირებულების შესაბამისი თანხის მყიდველისათვის დაბრუნება განხორციელდება მხარეებს შორის შედგენილი ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე.

თუ მყიდველი უარს განაცხადებს ასეთი აქტის ხელმოწერაზე, გამყიდველი უფლებამოსილია ქონების გატანის პროცესში შედგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად აცნობოს მეორე მხარეს ქონების რომელიმე ერთეულის ნაკლებობის შესახებ და ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი თანხის დაბრუნების შესახებ. გადაუცემელი ქონების ღირებულების გაანგარიშებისათვის გამოიყენება ის საფუძვლები, რაც გამოყენებული იქნა საწყისი სარეალიზაციო ფასის განსაზღვრისას.

5. გაყიდული ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ქონების მყიდველზე გადაცემის დადასტურების მიზნით, მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ყველა საჭირო რეკვიზიტის მითითებით და გამოიწერება სასაქონლო ზედნადები.

5.2 ქონების გატანასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პროცედურების ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებაზე და გატანის ვადების დაცვაზე პასუხისმგებელია მყიდველი.

5.3 ქონების გატანასთან დაკავშირებული პროცედურები (ტრანსპორტირება და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამუშაო დღეებში 11^{00} საათიდან - 17^{00} საათამდე;

5.4 ქონების გატანასთან დაკავშირებული პროცედურები (დახარისხება, დატვირთვა, ტრანსპორტირება, საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება და სხვა) უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1 გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საკუთრებაში გადასცეს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ქონება.

6.2 მყიდველმა ხელშეკრულების ობიექტის ტერიტორიებიდან გატანა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს _____ ვადაში გამყიდველთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;

6.3 მყიდველი ან/და მისი დავალებითა თუ მისი მინდობილობით მოქმედი მესამე პირი, ვალდებულია გაიღოს გაყიდული ნივთის ტრანსპორტირების, საჭიროების შემთხვევაში შეკეთების ან/და სხვა აუცილებელი ხარჯები (მათ შორის სათანადო საბუთების გაფორმების ხარჯი).

6.4 ქონების საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება/გაფორმება და დადგენილი გადასახდელების გადახდა.

6.5 ქონების გატანის, საჭიროებისას შეკეთების, გადაფორმების და ამასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მყიდველი (აუქციონში გამარჯვებული პირი);

6.6 ქონების გატანის პროცესში მყიდველმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა (მათ შორის გარემოსდაცვითი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების

ნორმები), რომელთა დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს.
6.7 მყიდველი ვალდებულია გაიტანოს შეძენილი ქონების დამუშავების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გაასუფთავოს ტერიტორია, ქონების გატანის ვადის (გრაფიკის შესაბამისად) დასრულებიდან თხუთმეტი (15) სამუშაო დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.
6.8 მყიდველი ვალდებულია მოთხოვნისას წარუდგინოს გამყიდველს დამუშავების ადგილმდებარეობებიდან ქონების გატანის თარიღის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

7. საჯარიმო სანქციები

7.1 ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გამყიდველს გადაუხადოს პირგასამტეხლო გასატანად დარჩენილი ქონების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს ოთხმოცდაათი (90) კალენდარული დღისა.

აღნიშნული დამატებითი ვადის (90 კალენდარული დღე) უშედეგოდ ამოწურვის შედეგად, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად, გამყიდველს საკუთრებაში უბრუნდება მყიდველის მიერ არ გატანილი ქონება და მყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება გასატანად დარჩენილი ქონების ღირებულების 20%.

გასატანად დარჩენილი ქონების ღირებულების გაანგარიშებისათვის გამოიყენება ის საფუძვლები, რაც გამოყენებული იქნა საწყისი სარეალიზაციო ფასის განსაზღვრისას.
7.2 ხელშეკრულების 6.6 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გამყიდველს გადაუხადოს პირგასამტეხლო შესაბამისი ტერიტორიიდან უკვე გატანილი ქონების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი (15) კალენდარული დღისა.

აღნიშნული დამატებითი ვადის (15 კალენდარული დღე) უშედეგოდ ამოწურვის შედეგად მყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება შესაბამისი ტერიტორიიდან გატანილი ქონების ღირებულების 10%.
7.4 მყიდველის სურვილით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისა და ნაყიდი ქონების სრულად არ გატანის შემთხვევაში გამყიდველს საკუთრებაში უბრუნდება მყიდველის მიერ არ გატანილი ქონება და მყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება გასატანად დარჩენილი ქონების ღირებულების 20%.
7.5. მყიდველის სურვილით ხელშეკრულების ვადამდე (ვალდებულებების სრულად შესრულებამდე) შეწყვეტის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გამყიდველს აუნაზღაუროს მის (გამყიდველის) მიერ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ გაწეული მომსახურებისათვის - ელექტრონული აუქციონის ჩატარებისათვის გადახდილი და აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულების 1% მიუხედავად მის (მყიდველის) მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულებისა.
7.6 ხელშეკრულების 4.3. პუნქტის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებზე არ ვრცელდება საჯარიმო ან სხვა სახის დამატებითი ვალდებულების გამომწვევი სანქციები.

7.7 გამყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების მოთხოვნა დაიკმაყოფილოს უაქცეპტო წესით (მყიდველის თანხმობის გარეშე) მყიდველისათვის დასაბრუნებელი თანხებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. დავის გადაწყვეტა

8.1 ხელშეკრულებიდან მომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.2 მხარეთა შორის მოლაპარაკების დაწყებიდან ორი (2) კვირის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავების გადაწყვეტა მოხდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

8.3 მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

9. ხელშეკრულები მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9.2 ხელშეკრულების ხელმოწერის დღედ მხარეები მიიჩნევენ ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებულ თარიღს.

10. შეტყობინების ჩაბარების წესი

10.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა წერილს, შეტყობინებას, გაფრთხილებას, მათ შორის შეტყობინებას დავალიანების დაფარვის შესახებ ერთმანეთს გაუგზავნიან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მხარეთა რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

10.2 მხარეები თანხმებიან, რომ ხელშეკრულების 9.1 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ჩაბარება მხარისათვის შეიძლება განხორციელდეს ასევე მხარეთა რეკვიზიტებში მითითებულ ტელეფონის ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის გზით.

10.3 მხარეები თანხმდებიან, რომ შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ასევე ნებისმიერი სხვა ფორმით (საფოსტო გზავნილი, პირადი ჩაბარება და ა. შ.).

10.4 შეტყობინების ფორმას ირჩევს გამგზავნი მხარე.

10.5 მხარები თანხმდებიან, რომ შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მხარის მიერ მეორე მხარისათვის ხელშეკრულების 10.1–10.2 პუნქტებით გათვალისწინებული წესით გაგზავნის მომენტიდან, გარდა საფოსტო გზავნილისა (პუნქტი 10.3), რომელიც ჩაბარებულად ითვლება მხარის მიერ მიღების მომენტიდან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო (ნაწილობრივი) შესრულებისათვის თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე დაუძლეველი ძალა, რომლის აღმოჩენაზე ხელშეკრულების

მხარეები - მონაწილები არ აგებენ პასუხს და რომლის არსებობის ან აღმოჩენის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
11.2 დაუძლეველ ძალად ითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, გრიგალი და სხვა);
ბ) გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
დ) ეპიდემიები, პანდემიები და ეპიზოოტიები;
ე) ბლოკადა და ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ვ) ამისათვის ხელისუფლებით განსაზღვრული კომპეტენტური ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის თუ ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გაცემა, რომელიც ზეგავლენას ახდენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა თუ პირობებს.
11.3 ფორს-მაჟორული მოვლენა უნდა დადასტურებულ იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
11.4 მხარემ, არსებული კომუნიკაციის საშუალებების რომელიმე არხის (ტელეფონის, ფოსტის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, კურიერის და სხვა) მეშვეობით უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ.
11.5 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების/შესაბამისობის საკითხი.
11.6 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს შეუძლებელია ქონების განადგურების გამო.
11.7 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება ასეთი ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დროით, თუ სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული მხარეთა შორის.
11.8 თუ ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედება გრძელდება ორმოცდახუთ (45) დღეზე მეტი ხნის განმავლობაში თითოეული მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის სათანადო შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

ამ საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტა არ იწვევს რაიმე პასუხისმგებლობას ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ფორს-მაჟრული გარემოებების გამო, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომამდე არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.
11.9 მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით ან თუ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებელი იყო გონივრულ ვადაში ასეთი გარემოებების დადგომამდე.
11.10 ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნულისა მოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დებულებები.

12. გარანტიები და განსაკუთრებული პირობები

12.1 მხარეები ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:
12.1.1 საჭიროების შემთხვევაში უარს არ იტყვიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე;

12.1.2 ხელშეკრულების დადებისას არ იმყოფებიან შეცდომაში, მოტყუების, მათს წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის ქვეშ;
12.1.3 ხელშეკრულების დადებისას ადგილი არ აქვს მათ წინააღმდეგ წინასწარგანზრახულ შეთქმულებას ან სხვა მძიმე გარემოების არსებობას;
12.1.4 ხელშეკრულება დადებულია ნებაყოფლობით;
12.1.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობა შეესაბამება და/ან არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას;
12.1.6 ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას;
12.1.7 ხელშეკრულების ხელმომწერი პირები ან/და მათი წარმომადგენლები აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, რომ ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას.
12.2 მხარეთათვის ცნობილია, რომ ყალბი ცნობებისა და დოკუმენტების წარდგენა ხელშეკრულების გასაფორმებლად დასჯადი ქმედებაა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.
12.3 მხარეები ადასტურებენ, რომ მომავალშიც შეასრულებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების დებულებების შესრულებასთან.

13. დასკვნითი დებულებები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით და ძალაშია თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.
13.2 მხარეთა შორის ოფიციალური ურთიერთობები (მიმოწერა, შეტყობინება, ფულადი ტრანზაქცია და სხვა) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მე-14 მუხლში მითითებულ რეკვიზიტებზე. ამასთან, მხარე, რომლის რეკვიზიტებიც არასწორადაა მითითებული ხელშეკრულებაში ან დამატებით შეტყობინებაში, თვითონ აგებს პასუხს დამდგარ შედეგებზე.
13.3 მხარეები ვალდებული არიან მისამართებისა და რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე ერთმანეთს აცნობონ დაუყოვნებლივ.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.
13.5 ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების დანართებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით და ძალაშია თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.
13.6 ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.
13.7 ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრე(ებ)სა და ულებამონაცვლე(ებ)ზე, თუ კონკრეტული პირობის არსებობისას სამართალმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა კანონმდებლობით დაშვებულია.
13.8 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედიკანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.

13.9 ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება თუ სხვა ხელშეკრულება.

14. მხარეთა რეკვიზიტები

"გამყიდველი"	**"მყიდველი"**
შპს „ჯიარ ქონების მართვა"	_____
ს/კ 202460103	პ/ნ ს/კ _____
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15	მის.: _____
ტელ.: _____	ტელ.: _____
ელ. ფოსტა: property@railway.ge	ელ. ფოსტა: _____
სს "საქართველოს ბანკი"	ბანკი:
ცენტრალური ფილიალი	ბანკის კოდი:
ბანკის კოდი: 220101502	ა/ა _____
ა/ა GE54BG0000000391156800	
_____	_____
გენერალური დირექტორი	_____
ივანე კაპანაძე	_____